ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **0126086975-67**
თარიღი: **27/03/2026**

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

განმცხადებელი: მამუკა კახიძე
პირადი ნომერი: 01019004347
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ზესტაფონის ქუჩა, N 5, ბინა 32

განცხადება/ნომენკლატურა

სსიპ – თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო / სამსახურის პოზიცია ნაკვეთის გამიჯვნა/გაერთიანების, მისასვლელი გზისა და შეძენა ან/და იჯარის შესახებ / სამსახურის პოზიცია მიწის ნაკვეთის გამიჯვნა/გაერთიანების შესახებ

მოთხოვნის ტექსტი

ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, ს.ს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" საკუთრებაშია არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი ს/კ 01.81.02.335.002, რაზეც მდებარეობს თელეთის 220 კვ-იანი ქვესადგური. აღნიშნული ქვესადგურის კედლის ნაწილი მდებარეობს მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე ს/კ 81.03.01.827, რომელიც აგრეთვე სახელმწიფო ელექტროსისტემის საკუთრებაშია. ვინაიდან ორივე მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ერთი მთლიანი ობიექტი, ნაკვეთების გაერთიანების მიზნით საჯარო რეესტრს წარედგინა შესაბამისი სარეგისტრაციო განცხადება (N882026229012). წარმოების დასრულებისათვის მოთხოვნილია ნაკვეთების გაერთიანებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის თანხმობის წარმოდგენა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ თანხმობა ს/კ 01.81.02.335.002 და ს/კ 81.03.01.827 კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების გაერთიანებასთან დაკავშირებით.